2023 წლის

ანგარიში ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ

GCSD საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT

2023 წლის ანგარიში ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ

სარჩევი

შესავალი 4
უსაფრთხოების ხელშეწყობა 5
ძალადობრივი ექსტრემიზმი და რადიკალიზაცია 5
მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით პოლიტიკური მკვლელობების პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება 9
საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის ზრდის ხელშეწყობა 11
მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის გაუვრცელებლობის პრევენციის ხელშეწყობა 14
კიბერუსაფრთხოების ხელშეწყობა საქართველოში 16
უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის გაუმჯობესება 18
ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა 20
სოციალურად დაუცველი პირების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა 22
გენდერული თანასწორობა და ქალთა ხელშეწყობა 24
ფსიქოსოციალური მხარდაჭერა და ტრენინგები არაძალადობრივი აღზრდის შესახებ 27
საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშეწყობა 28
საუბრები ელჩებთან 29
სტრატეგიული კომუნიკაციები და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება 30
2023 წელს GCSD-ის დონორი ორგანიზაციები 33

შესავალი

საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD) არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ეფექტურ და დემოკრატიულ მმართველობას, მხარი დაუჭიროს მის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და შექმნას პირობები ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის საუკეთესო პრაქტიკისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით.

2023 წელი ცენტრისთვის წარმატებული და საკმაოდ დატვირთული გამოდგა. გასული წლის განმავლობაში გაგრძელდა და დასრულდა წინა წლებში წამოწყებული პროექტები/ინიციატივები. ასევე დაიწყო ცხრა ახალი პროექტი. პრიორიტეტულ მიმართულებებად დარჩა ქვეყნის უსაფრთხოების მრავალმხრივი გაძლიერება, ეთნიკური უმცირესობების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, სტრატეგიული კომუნიკაციების დამკვიდრება და დეზინფორმაციასთან გამკლავება, საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის მხარდაჭერა.

წინა წლის მსგავსად, ორგანიზაციამ პარტნიორობა წარმატების მქონე ათამდე ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან წამოიწყო, მათ შორის აკადემიური, კერძო თუ საჯარო სფეროს ინსტიტუტებთან. თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა ისეთ ორგანიზაციებთან როგორიცაა საქართველოს რაგბის კავშირი, ფონდი არველაძე, ცენტრალური აზიის ამერიკული უნივერსიტეტი, Mercy Corps, Albany Associates, OACOM LTD, Armenian Research Center for the Problem of Non-proliferation of WMD (NPC), Knowledge Caravan, და სხვები, რითიც მნიშვნელოვნად გაფართოვდა ორგანიზაციული თანამშრომლობის ქსელები. გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნული გააძლიერებს ინსტიტუციურ შესაძლებლობებს და GCSD-ს საქმიანობას მრავალმხრივ შეუწყობს ხელს.

უსაფრთხოების ხელშეწყობა

საქართველოში უსაფრთხოების ხელშეწყობა, დაარსების დღიდან GCSD-ის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მაღალი დონის უსაფრთხოების მიღწევა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ქვეყანაში კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარებისთვის. ხაზგასასმელია, რომ თანამედროვე ეპოქაში უსაფრთხოება და მისი გაგება მრავალშრიანია და არაერთ კომპონენტს მოიცავს. აღნიშნულის შესაბამისად, GCSD-ის მიდგომა კომპლექსურია და აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებებს. 2023 წელს GCSD მუშაობდა ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის, საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის გაზრდის, მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის გაუვრცელებლობის პრევენციის, კიბერუსაფრთხოების და სხვა მიმართულებებზე, რითიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყანაში უსაფრთხოების გარემოს გაუმჯობესებაში.

ძალადობრივი ექსტრემიზმი და რადიკალიზაცია

საქართველოში ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენცია უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტს წარმოადგენს. ამ კუთხით არსებული გამოწვევები საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ მმართველობას, სტაბილურობასა და მდგრად განვითარებას.

2023 წელს, GCSD-მ აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, პროექტის „ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში, რომელიც ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება, მოხდა როგორც სახელმწიფოს შესაძლებლობების ზრდა, ისე საზოგადოების მდგრადობის გაძლიერება.

2023 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

— **კვლევა საქართველოში ძალადობრივი ექსტრემიზმის რისკების შესახებ** - ჩატარდა კვლევა საქართველოში ძალადობრივი ექსტრემიზმის რისკების შესახებ, რომელიც შეისწავლის და აანალიზებს ისლამისტური და ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ექსტრემიზმის მამოძრავებელ ფაქტორებს. აღნიშნული პროცესი მოიცავდა როგორც კომპლექსურ სამაგიდე კვლევას, ისე სიღრმისეულ ინტერვიუებსა და ფოკუს-ჯგუფებს სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან. დამატებით, შესაბამისი აქტორებისთვის ასევე შემუშავდა რეკომენდაციები.



— **სოციალური მედია კამპანია** - განხორციელდა კამპანია „რას ფიქრობს საქართველო“, რომლის ძირითადი მიზანი იყო ქართულ საზოგადოებაში იმ განცდის გაღვივება, რომ უფრო მეტი რამ გვაერთიანებს ვიდრე გვყოფს. კვლევაზე დაყრდნობით კამპანიის ფარგლებში შეიქმნა სხვადასხვა ტიპის ინფორმაციული მასალა, მათ შორის ვიზუალური პროდუქტები და ვიდეო რგოლები, სადაც საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებია წარმოდგენილი სხვადასხვა სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ განწყობებსა და აღქმა-დამოკიდებულებებზე. კამპანიის ფარგლებში შეიქმნა ვებ-გვერდი georgiathinks.ge სადაც წარმოდგენილია კამპანიის განმავლობაში მომზადებული მასალები.

— **ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების შესაძლებლობების განვითარება** - ქვემო ქართლის რეგიონის მერიების წარმომადგენელთათვის, ორდღიანი ტრენინგი - „ძალადობრივი ექსტრემიზმის

პრევენცია და მასთან გამკლავება“ გაიმართა. აღნიშნული ზედიზედ მეორე წელია რაც ხორციელდება. ტრენინგზე განხილულ იქნა ძალადობრივი ექსტრემიზმის კონცეპტუალური საფუძვლები, მისი მამოძრავებელი ფაქტორები და ექსტრემისტული ნარატივების გააზრების სპეციფიკა. ღონისძიება მაქსიმალურად ითვალისწინებდა სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობის სპეციფიკას და მორგებული იყო მათ საჭიროებებზე.

— **შესაბამისი სახელმწიფო უწყებების გაძლიერება** - პროექტის ფარგლებში დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენელთათვის, ტრენინგების ციკლი - „ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია და მასთან გამკლავება“ გაიმართა. სწავლებისას განხილულ იქნა ისეთი საკითხები როგორებიცაა: ძალადობრივი ექსტრემიზმის საერთაშორისო ნორმები, ძირითადი კონცეფციები და ამ მიმართულებით საქართველოში არსებული მდგომარეობა; ექსტრემიზმის ადრეული გამოვლენა და ონლაინ რადიკალიზაციის ტენდენციები; ასევე, ერთიანი საზოგადოების მიდგომა, საზოგადოებაზე დაფუძნებული მექანიზმები და ფსიქოლოგიური პროფილების სიძლიერეები/შეზღუდვები.

— GCSD-ის ორგანიზებით ასევე ჩატარდა სპეციალური პენიტენციური სერვისების სასწავლო კურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლები. საპატიმრო დაწესებულებების კონტექსტში, ისინი გაეცნენ ტერორიზმის, რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის გამკლავების საკითხების შესახებ საუკეთესო პრაქტიკას და მოისინეს როგორც თეორიული ნაწილი, ისე პრაქტიკული მაგალითები.

— **უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა** - GCSD-მ შეიმუშავა P/CVE სასწავლო გეგმები და გაუზიარა ხუთ უნივერსიტეტს (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი); კურსის ინტერდისციპლინარული მიდგომა, რომელიც ისტორიულ, სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და პოლიტიკურ პერსპექტივებს აერთიანებს, სრულად მოიცავს იმ ფაქტორებს, რომლებიც ადამიანებს ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმისკენ უბიძგებს. ის ასევე გვთავაზობს მნიშვნელოვან ინფორმაციას ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგიებსა და მიდგომებზე, საერთაშორისო თანამშრომლობასა და ანტიტერორისტულ ღონისძიებებზე. უნივერსიტეტების ლექტორებმა გაიარეს შესაბამისი გადამზადება, რათა ეფექტიანად მოხდეს შემუშავებული სასწავლო მასალების უნივერსიტეტებში დანერგვა.

— **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება** - საქართველოში რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებზე ქვეგრანტების სახით გაიცა ორი გრანტი. დაფინანსებული პროექტები ორიენტირებულია საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით მოწყვლადი ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერებაზე და ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით პოლიტიკური მკვლელობების პრევენციისთვის საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება

GCSD-ის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას მასობრივი განადგურების იარაღის (WMD) გამოყენებით პოლიტიკური მკვლელობების პრევენციისთვის შესაძლებლობების გაძლიერება წარმოადგენს. ამ კუთხით ორგანიზაცია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით 2021 წლიდან მუშაობს, და 2021-2023 წლებში ორი პროექტი, ორ ფაზად განახორციელა. აღნიშნული მიზნად ისახავდა შესაბამისი აქტორების შესაძლებლობების ზრდას საქართველოში პოტენციური ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რეაგირების მიზნით.

პროექტი ხელს უწყობდა პარტნიორების ტექნიკური და ტაქტიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებას, მათ მომზადებას შესაბამისი სცენარებისთვის და მათი სტრატეგიული კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებას შესაბამისი გამოწვევის საინფორმაციო განზომილების საპასუხოდ. პროექტში ჩართული იყვნენ ქიმიური,ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების უწყებათაშორის კომისიაში შემავალი სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები.

2023 წელს განხორციელდა შემდეგი ინიციატივები:

— **ტრენინგი კიბერ უსაფრთხოების საკითხებზე მასობრივი განადგურების იარაღთან (WMD) დაკავშირებული ინციდენტების დროს** - ტრენინგი მიზნად ისახავდა ცოდნის საერთო ჩარჩოს ჩამოყალიბებას WMD-ის საფრთხეების კიბერუსაფრთხოების ასპექტების შესახებ. ტრენინგი განკუთვნილი იყო პროექტის ძირითადი ჯგუფისთვის, რომელმაც გაიარა რამდენიმე თემატური ტრენინგი პროექტის განხორციელების პირველ ფაზაში.

— **სახელმძღვანელოს შემუშავება** - კიბერ უსაფრთხოება ქბრბ ინციდენტების დროს - შემუშავდა სახელმძღვანელო, რომელიც მოიცავს კიბერუსაფრთხოების ძირითად პრინციპებს, განიხილავს კიბერ საფრთხეებს და თავდასხმის ტიპებს, და დეტალურად აღწერს კიბერ შეტევებს კრიტიკულ ქბრბ ინფრასტრუქტურაზე. შემთხვევის შესწავლის საშუალებით, სახელმძღვანელოში წარმოჩენილია კიბერ ელემენტის როლი ქბრბ უსაფრთხოებაში. დამატებით, ასევე მოყვანილია პოტენციური სცენარები, რომლებიც შეიძლება განვითარდეს კიბერ სფეროში ქბრბ ინციდენტების დროს და განხილულია მასზე რეაგირების გზები.

—**სასწავლო კურსის შემუშავება ბიოლოგიურ და ქიმიურ იარაღზე** - ქბრბ თავდაცვის სპეციალისტმა დენ კასზეტამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრისთვის მოამზადა სპეციალური კურსი. აქტივობის ფარგლებში ჩატარდა ტრენერეთა პერსონალური ტრენინგი და გადამზადდა SSGTC-ის სამი წარმომადგენელი, რომლებიც მომავალში შეძლებენ სასწავლო პროცესში ჩართვას. ამასთან, შეიქმნა სასწავლო

მოდულები რადიოლოგიურ და ბირთვულ საფრთხეების შესახებ, რითაც მოხდა ტრენინგ ცენტრის ქბრბ კურიკულუმის სრულყოფა.

— **უსაფრთხოების კურსი დამწყები საფეხურის საჯარო მოხელეთათვის** - უსაფრთხოების ოთხი სფეროს - ქბრბ, კონტრტერორიზმი, ჰიბრიდული საფრთხეები და კიბერუსაფრთხოება - შესახებ თეორიული ცოდნის გაზრდის მიზნით შეიქმნა ახალი სასწავლო კურსი. კურსის მიზანია პირადი და ინსტიტუციური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში საჯარო მოხელეებს დაეხმაროს თავიანთი ინდივიდუალური როლების გაცნობიერებაში. ტრენინგი შეიმუშავა და უძღვებოდა დარგის ქართველ და საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი, მათ შორის როჰან პერერა (ქბრბ მოდული), პეტა ლოუ (კონტრტერორისტული მოდული), თინათინ აღნიაშვილი (ჰიბრიდული საფრთხეების მოდული) და გიორგი გურგენიძე (კიბერუსაფრთხოება). საპილოტე ტრენინგზე მოწვეულნი იყვნენ ქბრბ საფრთხეების შემცირების უწყებათაშორისი კომისიის და ეროვნული კონტრტერორისტული სტრატეგიის შემუშავების მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის წარმომადგენლები.

საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის ზრდის ხელშეწყობა

GCSD-ს საქმიანობის მნიშვნელოვან სფეროს საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის ზრდის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მხრივ, 2022-2023 წლებში, ნიდერლანდების საელჩოს მხარდაჭერით რიგით მეორე პროექტი - „საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის მხარდაჭერა“ განხორციელდა. პროექტი მიზნად ისახავდა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სამსახურის მხარდაჭერის გზით პოლიციასა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ზრდის ხელშეწყობას. პროექტი ითვალისწინებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მართლწესრიგის ოფიცრის სამსახურის შესახებ მოსახლეობაში ცნობადობის გაზრდას, ოფიცრების საჭირო ცოდნითა და უნარებით აჭღურვას, ასევე აღნიშნული სამსახურის ინსტიტუციური საჭიროებების კვლევას.

პროექტის შედეგად, გაიზარდა მართლწესრიგის ოფიცრების ცოდნა და უნარები, მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფებთან მუშაობის კუთხით, ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის შესაბამისად. ამასთან,

განვლილ პერიოდში გაძლიერდა დიალოგი მართლწესრიგის ოფიცრებსა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის. პროექტმა გაზარდა მართლწესრიგის ოფიცრების ინსტიტუტის ცნობადობა და ხელი შეუწყო პოლიციის პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით ახალგაზრდათა აუდიტორიაში. სტრატეგიულ დონეზე, პროექტმა ხელი შეუწყო საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სისტემის ინსტიტუციურ განვითარებას პოტენციურ გამოწვევებსა და ხარვეზებზე გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ინფორმირებით.

2022-2023 წლებში პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

— **მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შემუშავება** - შემუშავდა ყოვლისმომცველი მეთოდოლოგია როგორც სკოლის მოსწავლეებთან, ასევე უნივერსიტეტის სტუდენტებთან ჩართულობისთვის. სახელმძღვანელო არის დოკუმენტი, რომელიც ასახავს პრაქტიკულ მიდგომებს ბავშვებთან და მოზარდებთან ურთიერთობისთვის როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო გარემოში. სახელმძღვანელო გვთავაზობს ასაკის შესაბამის მეთოდებს და იმ აქტივობების დეტალურ აღწერას, რომლებიც უნდა განხორციელდეს ახალგაზრდულ ჯგუფებთან მუშაობისას.

— **სამაგიდო თამაშის შემუშავება** - მართლწესრიგის ოფიცრების თემაზე შეიქმნა სამაგიდო თამაში „შეფი“, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდებში მართლწესრიგის ოფიცრების საქმიანობის გაცნობას და უსაფრთხოების საკითხებზე პრევენციული აზროვნების წახალისებას. თამაში დაიბეჭდა სამაგიდო თამაშებისათვის დამახასიათებელი ატრიბუტებით - დაფით, კარტებით, კამათლითა და წესების კრებულით.

— **სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან** - თბილისის პოლიციის სხვადასხვა რაიონის სკოლებში 32 შეხვედრა ჩატარდა, რომელსაც ჯამში 1000-ზე მეტი მოსწავლე დაესწრო, ხოლო 10 შეხვედრა - უნივერსიტეტის დაახლოებით 450 სტუდენტთან მოეწყო. ასევე გაიმართა

კინო-ფილმების ჩვენებები და სპორტული ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის ახალგაზრდებისათვის, ბავშვთა სახლის მაცხოვრებლებისა და სტუდენტებისათვის.

— **ტრენინგები მართლწესრიგის ოფიცრებისთვის** - მართლწესრიგის ოფიცრებისთვის ჩატარდა ტრენინგები ისეთ თემებზე როგორიცაა ადამიანის უფლებები, ეფექტური კომუნიკაცია შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებთან, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია და ახალგაზრდებთან ჩართულობა. ჯამში ჩატარდა 10 ტრეინინგი, რომელშიც მართლწესრიგის 122-მა ოფიცერმა მიიღო მონაწილეობა. ამასთან, მომზადდა და შსს-ს გადაეცა შესაბამისი სასწავლო რესურსები, მათ შორის ჩანაწერები და სხვა მასალები.

— **ინსტიტუციური საჭიროებების კვლევის დოკუმენტის მომზადება** - პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა კვლევითი დოკუმენტი, რომელშიც გაანალიზდა არსებული ინსტიტუციური სტრუქტურა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. დოკუმენტი გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის გაუვრცელებლობის პრევენციის ხელშეწყობა

GCSD-ის საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს რეგიონში მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის გაუვრცელებლობის პრევენციის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მიზნით, GCSD-იმ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით, 2022-2023 წლებში განახორციელა პროექტი - „მაღალტექნოლოგიური კონვენციური იარაღის გაუვრცელებლობის პრევენცია და სანქციების აღსრულება“ - რომლის მიზანი საქართველოში მაღალტექნოლოგიურ კონვენციურ იარაღთან (ACW) პოტენციურ შემხებლობაში მყოფი პირებისთვის არსებულ რისკებზე ინფორმაციის მიწოდება და რუსეთზე დაკისრებული სანქციების ფარგლებში, რუსეთისთვის ACW-ის კომპონენტებზე წვდომის პრევენციის ხელშეწყობა იყო.

პროექტი მოიცავდა როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან მუშაობას, მათ შორის ფინანსურ ინსტიტუტებთან, სამინისტროებთან, ბიზნეს ასოციაციებთან, ეროვნულ ბანკთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, ეროვნული უშიშროების საბჭოსთან, ლოგისტიკურ კომპანიებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მედიასთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან. პროექტის განხორციელების პროცესში,ჩართული იყვნენ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ოპერატიული სახელმძღვანელოს შექმნას და ტრენინგის ჩატარებას.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა ACW-ის გავრცელების რისკებისა და სანქციების აღსრულების შესახებ ფინანსური და ოპერატიული შესაბამისობის სახელმძღვანელო, ACW-ის გავრცელების რისკების შესახებ პოლიტიკის დოკუმენტი და საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოსთვის ბროშურა. საჯარო და კერძო სექტორისთვის ჩატარდა სასწავლო სესიები და გაიმართა დასკვნითი კონფერენცია. აღნიშნული აქტივობებით მოხდა საქართველოს უმსხვილესო ლოგისტიკური და ფინანსური კომპანიების, სახელმწიფო სააგენტოებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების პროექტში ჩართვა, რომლებიც გაეცნენ რუსეთის მიერ გამოყენებული სანქციების გვერდით ავლის მეთოდებს, შესაბამისობისთვის აუცილებელ საინფორმაციო წყაროებსა და ინსტრუმენტებს. შედეგად, გაძლიერდა მონაწილეების შესაძლებლობები.

კიბერუსაფრთხოების ხელშეწყობა საქართველოში

თანამედროვე სამყაროში, უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს კიბერთავდაცვა წარმოადგენს. კიბერუსაფრთხოება გამოწვევაა როგორც სახელმწიფო უწყებებისათვის, ისე სამოქალაქო და კერძო სექტორისათვის. კიბერთავდაცვის გასაძლიერებლად GCSD-იმ, აშშ-ის საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში 2022-2023 წლებში წარმატებით განახორციელა პროექტი „ინფორმირებული თემები მედეგი საზოგადოებისთვის". მისი კონკრეტული მიზანი საქართველოში ეთნიკური უმცირესობებით და იძულებით გადაადგილებული პირებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი) მცხოვრები საზოგადოების კიბერ და დეზინფორმაციული საფრთხეების მიმართ მედეგობის გაძლიერება იყო.

პროექტი გულისხმობდა საზოგადოების წევრი ძირითადი აქტორების - არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და მუნიციპალიტეტების მერიების წარმომადგენლების - შესაბამისი ცოდნით და უნარებით აღჭურვას, კიბერ და დეზინფორმაციული საფრთხეების მიმართ როგორც ინდივიდუალური, ისე ინსტიტუციური უსაფრთხოების დონის გაზრდის მიზნით.

2023 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

— 2022 წელს მომზადებული კიბერუსაფრთხოების სახელმძღვანელოს საფუძველზე, პროექტის სამიზნე რეგიონებში, ჩატარდა ტრენინგები კიბერუსაფრთხოების და დეზინფორმაციის შესახებ. ჩატარდა რვა ტრენინგი, რომელსაც ჯამში ესწრებოდა 150-მდე ბენეფიციარი სხვადასხვა სექტორიდან;

— პროექტის გუნდმა ოთხ მუნიციპალიტეტში - გორში, ახალციხეში, ზუგდიდსა და მარნეულში - ჩაატარა საინფორმაციო სესიები, რომელიც შეეხო საქართველოში არსებული უსაფრთხოების პოლიტიკასა და ჰიბრიდული საფრთხეებს;

— პროექტი ასევე მოიცავდა საინფორმაციო კამპანიას, რომლის ფარგლებშიც, GCSD-იმ, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის და ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მხარდაჭერით, შექმნა ათი ვიდეო გზამკვლევი კიბერუსაფრთხოების და დეზინფორმაციის შესახებ. მომზადებული ვიდეოები გავრცელდა როგორც სოციალურ ქსელში, ისე რეგიონულ ტელევიზიებში, რომელთა საეთერო აუდიტორიამაც ჯამურად თვეში 800 000-მდე მაყურებელი შეადგინა;

— ყოველთვიურად, პროექტის გუნდი მართავდა ონლაინ დისკუსიებს GCSD-ის Facebook გვერდზე, პირდაპირი რეჟიმის ფორმატში, სადაც განიხილებოდა კიბერუსაფრთხოების საკითხები.

უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის გაუმჯობესება

უსაფრთხოების სისტემის ეფექტური მუშაობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია გამართული ზედამხედველობის სისტემის არსებობა. აღნიშნული ხელს უწყობს უსაფრთხოების უწყებების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას, რესურსების ეფექტურ გამოყენებას და სისტემური ხასიათის დარღვევების გამოაშკარავებას, აღმოფხვრას და მათგან დაცვას.

უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად, GCSD, როგორც კონსორციუმის წევრი, „ბიენდეს ევროპასა (B&S Europe)“ და პოლიტიკისა და მართვის კოსალტინგ ჯგუფთან (PMCG) ერთად, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით 2021 წლიდან ახორციელებს პროექტს „საქართველოში უსაფრთხოების სექტორის გარე ზედამხედველობის მხარდაჭერა.” პროექტის მიზანია, საქართველოში უსაფრთხოების სექტორის აქტორების ანგარიშვალდებულების გაზრდით ქვეყანაში გააძლიეროს ადამიანთა უსაფრთხოება. პროექტი აქცენტს აკეთებს სახალხო დამცველის აპარატის, სახელმწიფო აუდიტის, პარლამენტის და სხვა შესაბამისი უწყებების შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

2023 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა. **სახალხო დამცველის აპარატის ზედამხედველობის შესაძლებლობის გაძლიერების მიზნით,** პროექტმა ხელი შეუწყო აპარატსა და სამართალდამცავ უწყებებს შორის კოორდინაციასა და თანამშრომლობის გაუმჯობესებას. მათ შორის, პროექტის გუნდის ხელშეწყობით, ჩატარდა შეხვედრა სახალხო დამცველის აპარატსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს შორის, რომლის დროსაც გადაიჭრა უწყებებს შორის არსებული ზოგიერთი პრობლემა. ამასთან, საუბარი შეეხო თანამშრომლობას ისეთ საკითხებზე როგორიცაა საზღვრის მართვა და მიგრაცია, დროებით იზოლატორში დაკავება, პოლიცია, გენერალურ ინსპექცია. პროექტის ფარგლებში ასევე შედგა შეხვედრა სახალხო დამცველის აპარატსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის. მხარეები შეთანხმდნენ უსაფრთხოების სამსახურის მიერ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის ეროვნულ უსაფრთხოებაზე სპეციალური სწავლების ჩატარებაზე, რომელიც 2023 წლის ივლისში გაიმართა. სახალხო დამცველის აპარატისათვის, ასევე ჩატარდა ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტების მიერ სახმელეთო საზღვრის გადაკვეთის მართვისა და ზედამხედველობის ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის კვლევა.

საქართველოს პარლამენტის ზედამხედველობის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, შემუშავდა უსაფრთხოების სექტორის ზედამხედველობის სახელმძღვანელო. სახელმძღვანელოში აღწერილია პარლამენტის, საპარლამენტო კომიტეტების და პარლამენტის წევრების როლი უსაფრთხოების სექტორის სხვადასხვა ინსტიტუტების ზედამხედველობის პროცესში. სახელმძღვანელო ასევე შეიცავს ინფორმაციას ზედამხედველობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტებისა და გამოცდილების შესახებ, განმარტავს ინსტიტუციური არქიტექტურისა და მმართველობის პროცესებს, და აღწერს საქართველოს საფრთხის შემცველი გარემოს ძირითად მახასიათებლებს. ამასთან ერთად, პარლამენტის წევრებისა და მოხელეებისათვის ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგები, მათ შორის ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავებისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ზედამხედველობის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, პროექტის ფარგლებში, ექსპერტული დახმარება გაეწია ხსენებულ უწყებას ერთის მხრივ საკომუნიკაციო სტრატეგიის მეორე მხრივ კი შესაბამისი დანაშაულების გამოძიების მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში. უწყების გამომძიებლებისთვის ჩატარდა საზოგადოებრივი კომუნიკაციისა და სოციალური მედიის ტრენინგი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ზედამხედველობის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, განხორციელდა სამსახურის თანამშრომელთათვის სასწავლო ვიზიტი პოლონეთში. ვიზიტის მონაწილეები გაეცნენ უსაფრთხოების აუდიტის პოლონურ გამოცდილებას, და შეიტყვეს პოლონეთის აუდიტის სამსახურის პარლამენტთან და მთავრობასთან თანამშრომლობის შესახებ. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრები პოლონეთის პარლამენტსა და ფინანსთა სამინისტროში.

ეთნიკური უმცირესობების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და კეთილდღეობისათვის, უმნიშვნელოვანესია მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება, მათი მედეგობის ზრდა და ინტეგრაცია ფართო საზოგადოებაში. GCSD-ს ერთ-ერთ ამოცანაა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა და მათი მედეგობის გაძლიერება, რა მიმართულებითაც ორგანიზაცია არაერთი წელია სხვადასხვა ინიციატივებს ახორციელებს.

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობა

GCSD დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ფართო საზოგადოებასთან ინტეგრაციას საკითხს. ამ კუთხით, 2023 წელს, ფონდ ღია საზოგადოების მხარდაჭერით ორგანიზაციამ პროექტი - „საქართველოს სკოლებში მულტიკულტურული განათლების ხელშეწყობა“ განახორციელა. პროექტის მიზანი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესახებ ცოდნის გაზრდის ხელშეწყობა იყო, დამატებითი სასწავლო რესურსების მომზადებისა და პედაგოგებისთვის ეფექტური სწავლების გაძლიერების გზით.

პროექტის ფარგლებში მომზადდა ნარატიული მასალები საქართველოში მცხოვრები ექვსი ეთნიკურ-რელიგიური ჯგუფის შესახებ: საქართველოს აზერბაიჯანელებზე, სომხებზე, ებრაელებზე, კათოლიკებზე, მუსლიმებსა და სხვა მცირე ჯგუფებზე **(ბოშები, ქურთები, უკრაინელები, ბერძნები, გერმანელები, უდიები).** ამავე მასალებზე დაყრდნობით მომზადდა 9 გრაფიკული ვიდეო-გაკვეთილი საქართველოს სომხების, აზერბაიჯანელების, ებრაელების, მუსლიმების, კათოლიკეების, ქურთების, ბოშების, უდიების და უკრაინელების შესახებ, როგორც სომხური, ისე აზერბაიჯანულენოვანი სუბტიტრებით.

პარალელურად ჩატარდა 6 საჯარო ლექცია, სადაც შერჩეულმა კვალიფიციურმა მომხსენებლებმა ისაუბრეს ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების ისტორიის, კონკრეტული ისტორიული პირების დამსახურების და გამოცდილების შესახებ და უპასუხეს აუდიტორიის მიერ დასმულ კითხვებს. ქართველი კათოლიკეების შესახებ საჯარო ლექცია ჩატარდა ახალციხეში, საქართველოს აზერბაიჯანელების შესახებ-გარდაბანში, ქართველი მუსლიმების შესახებ-მარნეულში, მარნეულის კოლეჯში, საქართველოს ებრაელების შესახებ-თბილისში, მშვიდობის სინაგოგაში, მცირე ჯგუფების შესახებ-ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ნახიდურის საჯარო სკოლაში, საქართველოს სომხების შესახებ-თბილისში. საჯარო ლექციებს ჯამში 215 ადამიანი დაესწრო.

გარდა საჯარო ლექციებისა, დაიგეგმა ტრენინგები მასწავლებლებისთვის. 100-ზე მეტი მასწავლებელი საჯარო და კერძო სკოლებიდან გაეცნო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების შესახებ მომზადებულ ნარატიულ მასალებსა და გრაფიკულ ვიდეო-გაკვეთილებს, როგორც სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილ დამხმარე სასწავლო რესურსს. ისინი გაეცნენ თუ როგორ უნდა ინტეგრირდეს აღნიშნული მასალები სასწავლო პროცესში. ჯამში ჩატარდა 4 ტრენინგი, მათგან 3 – ელექტრონულად, ხოლო ერთი - ფიზიკურ სივრცეში. მიკრო წიგნების სახით მოხდება სამენოვანი ნარატიული მასალების დაბეჭდვა და მათი დაინტერესებულ აუდიტორიებში გავრცელება.

სოციალურად დაუცველი პირების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა

სოციალურად დაუცველი პირები ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. მათი მდგომარეობის გამოსწორება დიდწილადაა დამოკიდებული სიდუხჭირის დაძლევაზე. ამ მიზნით, 2023 წელს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით, GCSD-მ განახორციელა პროექტი - „სოციალურად დაუცველ პირთა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკროგრანტების პროგრამაში განაცხადების ხარისხისა და რაოდენობის გაუმჯობესების გზით“. პროექტი 2022 წელს განხორციელებული მსგავსი ინიციატივის მეორე ფაზას წარმოადგენდა.

2023 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

— დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, „აწარმოე საქართველოში“ და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის სამმხრივი მემორანდუმი. მემორანდუმმა ხელი შეუწყო სააგენტოებს შორის კოორდინირებულ სამუშაო პროცესის წარმართვას სოციალურად დაუცველ პირთა საკითხებზე;

— ამასთან, სააგენტოებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, GCSD-ის ძალისხმევით ჩატარდა საორიენტაციო სამუშაო შეხვედრები, შემუშავდა საკოორდინაციო მექანიზმი სააგენტოსთვის „აწარმოე საქართველოში“ და მოხდა აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში დანერგვა;

— საქართველოს მასშტაბით მოქმედი თვითმართველობის წარმომადგენლებისთვის სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე გრანტების პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, ჩატარდა სამი შეხვედრა, რომელსაც ჯამში მუნიციპალური მერიებიდან 80 წარმომადგენელი დაესწრო;

— შემუშავდა ხშირად დასმული კითხვების დოკუმენტი სოციალურად დაცუველი პირების მხრიდან სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ შესახებ გაჟღერებული კითხვების ირგვლივ;

— მომზადა საკომუნიკაციო სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ეფექტური საშუალებებისა და გზების მოკვლევას, სოციალურად დაუცველ პირთა ჯგუფებში სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ საგრანტო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის ხელშესაწყობად;

— ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოების რეგიონული წარმომადგენლებისთვის კომუნიკაციისა და კონსულტაციის სწორად წარმართვის შესახებ;

— სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო გრანტების პროგრამაში გასაუბრების ეტაპის წარმატებით გადასალახად 405 სოციალურად დაუცველ პირს სატელეფონო კონსულტაცია ჩაუტარდა.

2024 წელს დაგეგმილია პროექტის მომდევნო ფაზის განხორციელება.

გენდერული თანასწორობა და ქალთა ხელშეწყობა

ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პრობლემიდან გამომდინარე, GCSD-ს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს ქალების ხელშეწყობა წარმოადგენს. ქვეყანაში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესება აუცილებელია ზოგადი კეთილდღეებისა და მდგრადი განვითარებისათვის.

ამ კუთხით, GCSD-იმ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, მათ შორის წარმატებით განაგრძო გლობალური პროგრამა "SHE's GREAT!" რომელიც დაფუძნებულია გენდერული თანასწორობისა და სამოქალაქო ჩართულობის პრინციპებზე. მიმდინარე წელს პროგრამის ფარგლებში მთელი რიგი მნიშვნელოვანი აქტივობები განხორციელდა, მათ შორის სამეცნიერო ბანაკი, პროგრამის ელჩების სასწავლო ვიზიტი, საზოგადოებრივი ინიციატივები, და სხვა.

2023 წელს განხორციელებულ აქტივობებს შორის გამოსარჩევია შემდეგი:

— **სწავლებები** - 2023 წლის თებერვალში პროგრამის მონაწილეებმა გაიარეს სწავლებების სერია, რომელიც მოიცავდა „მიზნების რუკების ლიდერობის სესიას", „პიროვნების/ძლიერების შეფასების ლიდერობის სესიას", „ჩემი ხედვის ლიდერობის სესიას" და „პროექტის დაგეგმვის სესიას";

— **სათემო სამოქმედგო გეგმების განხორციელება** - რამდენიმე სკოლაში სათემო სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მოსწავლეებმა, საკუთარი ინციატივით დააარსეს უსაფრთხო სივრცეები, რაც ხელს უწყობს ყველა ახალგაზრდისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემას. დამატებით, ფოკუსი გაკეთდა სხვადასხვა მიზნებზე, როგორიცაა საგანმანათლებლო რესურსების შემუშავება, თემებში გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება და სპორტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა. აქტივობები მოიცავდა ღონისძიებების, ჩემპიონატების და ყოველწლიური ფესტივალების ორგანიზებას. განსაკუთრებულ აქცენტი გოგონების სპორტისადმი ინტერესის გაღვივებაზე გაკეთდა;

— **პროგრამის ელჩების სასწავლო ვიზიტი** - 27-დან 29 მარტამდე მოეწყო სასწავლო ექსკურსია პროგრამის ამბასადორებისა და გასული წლის კურსდამთავრებულებისთვის. 3-დღიანი ვიზიტი მოიცავდა სესიებს და შეხვედრებს სხვადასხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული მცდელობების ხელშეწყობაში და გენდერული თანასწორობის ადვოკატირებაში. მონაწილეებს შეხვედრები ჰქონდათ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში,, არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარისა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

— **მოქმედების ფესტივალები** - SHE'S GREAT-ის პირველადი აქტივობებისა და მიღწევების კონსოლიდაციის მიზნით ჩატარდა ორი მოქმედების ფესტივალი. პირველმა ფესტივალმა, რომელიც გაიმართა 2023 წლის 29 აპრილს, შეკრიბა მონაწილეები, პედაგოგები და მშობლები თბილისის, მარნეულის, წეროვანის, ბოლნისისა და ვალეს (ახალციხე) ხუთი სკოლიდან. მეორე ფესტივალმა უმასპინძლა მონაწილეებს და სტუმრებს ზუგდიდის, სენაკისა და საჩხერის დარჩენილი სამი სკოლიდან. ღონისძიება გაიმართა ქუთაისში. ორივე ფესტივალში მონაწილეებმა გამოფენების საშუალებით წარმოადგინეს თავიანთი პროექტების შედეგები, წარმოადგინეს ინფორმაცია განხორციელებული ინიციატივების შესახებ და ასახეს პროექტის განმავლობაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება. ამ შეხვედრებმა პროგრამის

მონაწილეებს საშუალება მისცა დაკავშირებოდნენ და დამეგობრებოდნენ ერთმანეთს, საერთო მიზნებისა და ღირებულებების შესაბამისად;

— **STEAM ბანაკები** - 2023 წლის 24-დან 28 მაისამდე, GCSD-იმ უმასპინძლა SHE'S GREAT!-ის STEAM ბანაკს, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეთა გათვიცნობიერებას STEAM-ის შესახებ და მათში STEAM-ის განათლებისა და პროფესიების მიმართ ინტერესის გაღვივებას. SHE'S GREAT-ის 163 აქტიური მონაწილედან ჩამოყალიბდა 50 ინდივიდისგან შემდგარი მრავალფეროვანი ჯგუფი, რომელიც მოიცავდა 12 მამაკაცსა და 38 ქალს. მონაწილეები წარმოადგენდნენ რვა სკოლას. ოთხდღიანი STEAM ბანაკი მოიცავდა მთელ რიგ აქტივობებს, მათ შორის ტექნიკურ სემინარებს, ადგილზე ვიზიტებს და ექსპერტთ სესიებს. ტექნიკური სემინარები მოიცავდა სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის შესავალს რობოტიკაში, გრაფიკულ დიზაინში, თვითმფრინავებში, ხელოვნურ ინტელექტსა და ასტროფიზიკაში. გარდა ამისა, GCSD-ის მოწვეული ჰყავდა ახალგაზრდა ადამიანები STEM სფეროდან, მათ შორის ჰარვარდის სტუდენტი ნენე ჟვანია, საკუთარ აკედემიურ მოგზაურობასა და კარიერაზე სასაუბროდ.

ფსიქოსოციალური მხარდაჭერა და ტრენინგები არაძალადობრივი აღზრდის შესახებ

— **პროექტის განმავლობაში GCSD თანამშრომლობდა ადგილობრივ ორგანიზაცია** - სათემო განვითარების პლატფორმასთან (CDP), ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისების მიწოდებისა და მასწავლებლებისა და მშობლებისათვის არაძალადობრივი აღზრდის ტრენინგების ჩატარების მიზნით. არაძალადობრივი აღზრდის ტრენინგში საერთო ფორმატში მონაწილეობდნენ როგორც მშობლები და პედაგოგები, ისე სტუდენტები, რითიც ხელი შეეწყო თაობათა შორის დიალოგს;

— **გლობალური კოლაბორაცია** - პროგრამის განუყოფელ ასპექტს წარმოადგენდა სხვა ქვეყნების მონაწილეებთან ვირტუალური შეხვედრები, მათ შორის ახალგაზრდებთან ყირგიზეთიდან, იორდანიიდან, სენტ-ლუსიასთან, გვატემალადან და უკრაინიდან. 2023 წელს მოეწყო მენტორული სესიები, რომლებიც გენდერული თანასწორობის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს შეეხო.

2023 წელს, ქალთა მხარდასაჭერად, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დახმარებით, GCSD-იმ ასევე განახორციელა პროექტი „ქალთა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებში განაცხადების რაოდენობის გაზრდის გზით.“ პროექტის ფარგლებში, GCSD-იმ მხარდაჭერა გაუწია სოფლის განვითარების სააგენტოს ICC-ის ბენეფიციარების გადამზადებასა და მობილიზებაში. საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა ადგილზე, გაიმართა საველე შეხვედრები სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებში მონაწილე წარმატებულ ქალ აპლიკანტებთან, რაშიც მონაწილეობა 217 ქალმა მიიღო. ამასთან, სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამებში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად, GCSD-იმ, დაკონტრაქტებულ ორგანიზაცია „ტასოს ფონდის“ დახმარებით, კონსულტაცია 800-მდე ქალ ბენეფიციარს გაუწია.

საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშეწყობა

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ქვაკუთხედია. მისი შენარჩუნება ქვეყნისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია. ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდასაჭერად, GCSD არაერთი წელია სხვადასხვა მნიშვნელოვან ინიციატივებსა და პროექტებს ახორციელებს. მათ შორის, 2023 წელს, ნატოს სახალხო დიპლომატიის დეპარტამენტის დაფინანსებით პროექტი - „უკეთ გავიცნოთ ნატო - ფაზა II", ხოლო საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით პროექტი - „ნატო-საქართველოს ახალგაზრდული აკადემია" განხორციელდა.

აღნიშნული პროექტები მიზნად ისახავდა ნატოსა და ნატო-საქართველოს პარტნიორობის შესახებ საქართველოს ახალგაზრდობისა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ინფორმირებულობის ზრდას და დისკუსიის წახალისებას. პროექტების ფარგლებში, ახალგაზრდებისთვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, ლექციები და ონლაინ საუბრები, მოეწყო ესეების კონკურსები სტუდენტებისთვის, გამოიცა პუბლიკაცია თემატური ექსპერტების მონაწილეობით, მომზადდა ვიდეო რგოლების ციკლი ნატოსა და ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე, გაიმართა ნატო-საქართველოს ახალგაზრდული აკადემია და სხვა.

ამასთან, 2023 წლის სექტემბერში, ნატოს სამეკავშირეო ოფისთან თანამშრომლობით, GCSD-იმ კონფერენცია - „ნატო 2023: ადაპტაცია შეცვლილ უსაფრთხოების ლანდშაფტთან“ ჩაატარა. კონფერენციაში მონაწილეობა დიპლომატებმა, ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა და სახელმწიფოს წარმომადგენლებმა მიიღეს.

საუბრები ელჩებთან

საგარეო პოლიტიკის საკითხებზე დიალოგისა და გააზრების ხელშესაწყობად, GCSD-მ 2023 წელს განაგრძო ინიციატივა - საუბრები ელჩებთან. ინიციატივის ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყნის ელჩები წარმოადგენენ თავიანთი ქვეყნის პერსპექტივებს დღის წესრიგში არსებულ ყველაზე აქტუალურ გლობალურ თუ რეგიონალურ საკითხებზე. შეხვედრები იმართება „ჩეთემ ჰაუსის წესების“ შესაბამისად და მას მოწვეული ექსპერტებისა და აკადემიკოსების მცირე ჯგუფი - დაახლოებით 15 ადამიანი ესწრება. მიჩნეულია, რომ მსგავსი ფორმატი უზრუნველყოფს ღია და სიღრმისეულ ინტერაქციას და დიალოგს. გასულ წელს გაიმართა ორი შეხვედრა, რომელზეც GCSD-მ ევროკავშირის და გერმანიის ელჩებს უმასპინძლა.

სტრატეგიული კომუნიკაციები და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

თანამედროვე კომპლექსური საინფორმაციო გარემოსა და ჰიბრიდული საფრთხეების გათვალისწინებით სტრატეგიული კომუნიკაციების როლი და მნიშვნელობა სულ უფრო მეტად იზრდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, GCSD, არაერთი წელია ცდილობს როგროც საჯარო სექტორში, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში მდგრადი და ეფექტიანი სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარებას შეუწყოს ხელი.

ამ კუთხით, 2023 წელს ამერიკის შეერთებული შტატების თბილისის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, GCSD განახორციელა პროექტის „საქართველოს მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამა“ მორიგი ფაზა, რომელიც შემდეგ აქტივობებს მოიცავდა:



— **სტრატეგიული კომუნიკაციების ონლაინ სასერტიფიკატო კურსის შექმნა** - კურსი მოიცავს ვიდეო ლექციებს, შესაბამის სასწავლო მასალებს, სტიპენდიებს და მასტრეკლასს მონაწილეთათვის. კურსი ხელმისაწვდომია როგორც საჯარო მოხელეებისთვის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული პირებისთვის. 2023 წელს 300-ზე მეტმა მონაწილემ წარმატებით გაიარა კურსი და აიღო შესაბამისი სერტიფიკატი;

— **სახელმწიფო უწყებების საჭიროებებზე მორგებული კონსულტაციები** - სტრატეგიული კომუნიკაციების ინსტიტუციური განვითარების მიზნით

GCSD-იმ გააგრძელა შესაბამისი სახელმწიფო უწყებების შესაძლებელობების გაძლიერებაზე მუშაობა, რის ფარგლებშიც ჩატარდა თემატური კონსულტაციები. ექსპერტული მხარდაჭერა ორიენტირებული იყო სტრატკომის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ეფექტიანობის ამაღლებასა და სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაზე;

— **სახელმწიფო უწყებების სტრატეგიული კომუნიკაციების შესაძლებლობების შეფასება** - პროგრამის ფარგლებში McChrystal Group-თან თანამშრომლობით შერჩეულ სახელმწიფო უწყებებში ჩატარდა სტრატეგიული კომუნიკაციების არსებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების ანალიზი. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა შესაბამისი თემატური რეკომენდაციები შესაბამისი უწყებებისათვის.

— **სამუშაო ვიზიტი დიდ ბრიტანეთში სტრატეგიულ კომუნიკაციებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ურთიერთობების განსამტკიცებლად** – GCSD-იმ შეხვედრები გამართა დიდ ბრიტანეთში სტრატეგიულ კომუნიკაციებზე მომუშავე წამყვან ანალიტიკურ და კვლევით ორგანიზაციებთან. შეხვედრისას მხარეებმა განიხილეს პარტნიორობის განვითარებისა და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა, ასევე GCSD-იმ გააფორმა სამი თანამშრომლობის მემორანდუმი, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს მხარეებს შორის მდგრადი და გრძელვადიანი პარტნიორობის განვითარებას.

— **კრიზისების კომუნიკაციის ონლაინ სასერტიფიკატო კურსი** - GCSD-იმ დაიწყო ახალი კრიზისების კომუნიკაციის ონლაინ კურსი. კურსი ფარავს კრიზისული კომუნიკაციების სრულ ციკლს და მოიცავს ვიდეო ლექციებს და შესაბამის საკითხავ მასალებს. კურსის წარმატებით გავლის შემდეგ მონაწილეებს საშუალება ექნებათ მიიღონ შესაბამისი სერტიფიკატი. კურსი განთავსებულია ვებ-პლატფორმაზე - stratcom.org.ge. კურსზე მიღება 2024 წლიდან გამოცხადდება.

— **ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს შემუშავება** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით მუშავდება სპეციალური სახელმძღვანელო რომელიც მიზნად ისახავს კრიზისებისა და ომის დროს ინფორმაციული მედეგობის გაძლიერებას ჟურნალისტებისთვის შესაბამისი ცოდნის მიწოდებით.

— **სტრატეგიულ კომუნიკაციებსა და დეზინფორმაციის გამკლავების შესახებ ერთობლივი ონლაინ დისკუსიები** - GCSD-ს ორგანიზებითა და წამყვანი საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით სტრატეგიულ კომუნიკაციებსა და დეზინფორმაციის გამკლავების შესახებ ჩატარდა ოთხი ონლაინ დისკუსია. განხილულ იქნა სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევები, საუკეთესო პრაქტიკები და თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი ტენედნციები.

2023 წელს GCSD-ის დონორი ორგანიზაციები

Norwegian Ministry of Foreign Affairs

British Embassy Tbilisi

ევროკავშირი საქართველოსთვის

Kingdom of the Netherlands

swisscontact

IREX

NATO OTAN

ღია საზოგადოების ფონდი

MERCY CORPS

PH international
ADVANCING SOCIETIES, CONNECTING PEOPLE

2023 წლის ანგარიში ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ

GCSD
საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი
GEORGIAN CENTER FOR STRATEGY AND DEVELOPMENT